წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 9 ივნისი 1915 წ. № 14

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, სალამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## თბილისის სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 9 ივნისს, **აკაკის დაბადების დღეს**, გაიმართება

## საღამო აკაკისა,

რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან არსებულ **აკაკის სახელობის** ზეპირსიტყვაობის შესაკრებ ფონდის გასაძლიერებლად. საღამოს შინაარსი:

I. **შესავალ სიტყვას** წარმოსთქვამს **შალვა ვლ. ალექსი მესხიშვილი.**

II. **ნ ა თ ე ლ ა** ერთ მოქმედებად

დაიდგმება ბ-ნ **ა. წუწუნავას** ხელმძღვანელობით; **ქ-ნ ე. ამირაჯიბისა, ა. იმედაშვილისა** და **თავ. ნ. ერისთავის** მონაწილეობით; მომღერალთა გუნდი **სანდრო კავსაძის** ხელმძღვანელობით შეასრულებს დასავლეთ-საქართველოს სიმღერებს.

III. **საკონცერტო განყოფილება**

კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: ქ-ნი №№, **ივ. სარაჯიშვილი, ტომაშევიჩი,** ა. კავსაძე და ჭუმბურიძე, აგრეთვე **ქართული გუნდი სანდრო კავსაძის** ლოტბარობით.

IV. **ცოცხალი სურათები** ა. წუწუნავას ხელმძღვანელობით: ა) „**მიჯაჭვული ამირანი**“, ბ) „**განთიადი**“. დასასრულ „**აპოთეოზი**“.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი), მაღაზიის გამგე თავ. ივ. ავალიშვილთან, დილით 10-დან 2 საათამდე და სალამოთი 5-დან 7 ს. ბილეთები არავის დაეგზავნება. დასაწყისი სალამოს 8½ საათზე.

## ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

**ოთხშაბათს 10 ივნისს**

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე დიუმას ცნობილი პიესა

## ედმონდ კინი
ანუ
## სალახანა გენიოსი

კომედია 5 მოქმედ. და 6 სურათად, გადმოთარგმნილი ვალ. გუნიას მიერ

**ეს პიესა სრულიად ქართულ ენაზე პირველად იდგმის,**

მთავარ როლებს შეასრულებენ ტასო აბაშიძე, ქილარჯიშვილი, ასათიანი, გენია, მგალობლიშვილი და რომანიშვილისა.

**ადგილების ფასი ორი შაურიდან მანათამდე.**

დასაწყისი სალამოს 8 ნახევარ საათზე. რეჟის. ვ. გუნია. გამგე პ. ფრანგიშვილი

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

კბილის ექიმი ქალი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გ ო რ შ ი

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

## თბილისი, 9 ივნისი.

**ახალი არჩევანი.**

ქართლ-კახეთის მარშლის თანამდებობის აღმასრულებლად წარსულ შაბათს თავად-აზნაურთა კრებულმა თავადი დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი აირჩია.

დღევანდელ გამწვავებულ დროს, როცა ქართველ ხალხის კეთილშობილური ხახელი მის მრავალ „მტერ-მოყვარეთა“ მეცადინეობით საგრძნობლად დამცირებულია, თავად დიმიტრი ჩოლოყაშვილის მარშლის თანამდებობის აღმასრულებლად არჩევას კმაყოფილნი ვეგებებით. ქართველი მუშაკი მოღვაწე, პატიოსანი მამულიშვილი, ყველგან და ყოველთვის მედგარი მცველი ქართულ ინტერესებისა, თ-დი დ. ჩოლოყაშვილი, დარწმუნებულნი ვართ, ამ პასუხსაგებ თანამდებობაზედ ასეთ პასუხსაგებ დროს ამავე დროშას კვლავ აღმართავს და მოურიდებლად, საქვეყნოდ გაშლის მას.

თანამედროვე ისტორიულმა მომენტმა ქართველ ერის ოფიციალურ წარმომადგენლად მთავრობის წინაშე, ქართველთა ინტერესთა და სახელის მცველად კვლავ ძალა უნებურად ქართველი თავად-აზნაურობა წამოაყენა. ამის მიზეზი უმთავრესად რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ხასიათია, სადაც თავად-აზნაურთა წოდება აქამდის დიდ როლს თამაშობს, როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ არენაზედ. ჩვენშიაც, ხელოვნურად შეკავებულ და ნაძალადევად შებოჭილ ეროვნულ ცხოვრებას არ შეეძლო გამოეყვანა ლეგალური ყოველწოდებრივი ერის წარმომადგენლობა, რომლის უქონლობას ეხლა ნამეტნავად ვგრძნობთ. რასაკვირველია ეს არა ნორმალური და შეუწყნარებელი ფაქტია. მისი საჩქარო გამოსწორება და ამისათვის დაუყონებლივი ზომების მიღებაც მორიგი საქმეა ქართველობისა, მაგრამ სანამ ქართველთა წარმომადგენლობა გაფართოვდება და ძველ წოდებრივ ხასიათსაც მიიღებს, ფაქტია, რომ ქართველ თავად-აზნაურობას ამ მძიმე ტვირთის ზიდვა თავისმხრებზედ უძდება. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითქმის ყოველ დღე ქართველობის თავზე რაიმე ახალი ყუმბარა სკდება, ჩვენ ვერ შევძლებთ უყურადღებოდ თავად-აზნაურთა მარშლის არჩევანს ავუაროთ და ანგარიში არ გაუწიოთ მის პიროვნების ღირსებასაც, როგორც ქართველების ინტერესის და სახელის მცველსა. ამ მხრივ თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილის ჩამოყალიბებული ქართული ფიგურა ნუგეშს გვაძლევს, რომ იგი, ქართველ თავად-აზნაურთა წრეში უკანასკნელ ხანებში გამეფებულ ერთგვარ პოლიტიკურ სილაჩრეს გაჰფანტავს და ქართველობის სახელს მრავალ წარსულ ისტორიის და აწმყო ჭრილობებით დასერილს ამაყად და გაბედულად ატარებს. სილაჩრე თანამედროვე დიად ხანაში იგივე ბოროტებაა თავის მრავალ მავნე შედეგებით. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ძალაუნებურად ხსენებული შედეგი მთელ ერს აწვება მხარზე და დიდ ხარკსაც ახდევინებს.

## სიბერემდე სიქალწლე

თ-დ კიტა აბაშიძის გარშემო „ცილის წამების განგაში აუტეხიათ“, თვითონ ბ-ნმა აბაშიძემ კი გვიან გაიგო ეს განგაში და, რა თქმა უნდა, მოინდომა თავის გამართლება, მაგრამ არამც თუ ვერ გააბათილა „ცილის წამება“, არამედ აღიარა და დაამტკიცა ჩვენი ბრალდება.

დავიწყოთ თავიდან. ჯერ ერთი, ჩვენ არ გვესმის, რა შუაშია ამ განგაში სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც ორგანოდ ნათლავს ბ-ნი აბაშიძე გაზეთ „საქართველოს“. წარვიდნენ ის დრონი, როცა გაზეთი ივანეს ან პეტრეს ეკუთვნოდა; გაუგებარია, რად ინება ბ-ნმა აბაშიძემ ამ უცნაურის მიმართვით **მხოლოდ სანდრო შანშიაშვილისადმი** შესუსტება წამოყენებული ბრალდებისა. ბ-ნი აბაშიძე საქმეს უარესად ირთულებს იმით, რომ აგონებს ს. შანშიაშვილს „ძველი მეგობრების“ ამაგს. ჩვენდა სამწუხაროდ [sic: საქადულოდ], ჩვენი რედაქტორი ქრთამს არ იღებს სიმართლის დასამალავად.

„განა არ ახსოვს (შანშიაშვილს), რომ მის ერთ პოეტურ ნაწარმოებს ნაქურდლობა შესწამეს და მაშინ განა ვისმე ჩვენგანს შეჰპარვია ეჭვი იმის შესახებ, რომ ეგ ჩვეულებრივი ცილისწამებაა.

ტაკტიკაა „აზრელებისა“... ხომ არავის ჩვენგანს არ შეუკითხავს (?) მაშინ ბ-ნ შანშიაშვილისათვის—მართლა მოპარული გაქვს თუ არა შენი პოემაო,—წინააღმდეგ, ჩვენ სულ სხვაში ვიყავით დარწმუნებულნი და შესაფერისი პასუხი გავეცით ცილისმწამებელს; ან და აგერ არ იყო ამ რამდენიმე კვირის წინად, აზრელებმა დამწამეს—ქართველ საზოგადოებასა რყვნიო—ეს ბ-ნ შანშიაშვილის ნაწარმოებთა ქების გამო და კიდევაც დამემუქრნენ“, ბრძანებს პატივცემული ავტორი „სიბერემდე სიქალწლისა“.

თუ ბ-ნი შანშიაშვილის პოემა მართლა ნაპარავი იყო, ხელის წაფარება რა საკადრისია, და თუ არ იყო—რაღას ამუნათებთ თქვენს გამოსარჩლებას?

ან კრილოვის მამალი და გუგული ხომ არ არის მწერალი და კრიტიკოსი (?), რომ ქებისათვის ქება ეძლევა შანშიაშვილს თქვენი საქციელისათვის.

გრძელი წერილის მეორე ნახევარში ბ-ნი აბაშიძე სცდილობს გააცნოს მკითხველს საქმის ვითარება: „**აქ, ამ ყრილობაში მაგის** (ე. ი. **შიმშილზედ ლაპარაკი) არც დროა, არც ადგილია და მაგას ექნება მათხოვრობის ხასიათი და სრულიად სამარცხვინოდ დამთავრდება-მეთქი... და ამის მეტი არა მითქვამს რა...**“

და ამის მეტ „ცილს“ არც არავინა სწამებდა ბ-ნს აბაშიძეს, ეს იყო ერთადერთი ბრალდება და ბ-ნი კიტა აბაშიძე ამას ადასტურებს მხოლოდ: ამის მეტი არა მითქვამს რაო. ამაზედ მეტი მხოლოდ თავის წერილში სთქვა, თუმცა, ნათქვამიც საკმარისი იყო.

„ჩვენი ქვეყანა ისეთს ტრაგედიას განიცდის, მისი ყოველივე წმინდა და პატიოსანი გრძნობა ისეა შელახული და ჩაწიხლული, რომ არავისა აქვს ნება მისი სახელით წარამარა ყველას მიმართოს—იმათაც კი, რომელნიც ამ შეურაცხყოფის ხელმძღვანელნი არიან...

აბა რა ადგილი ჰქონდა თბილისის თვითმართველობისაგან (?) გამართულ ყრილობაზე ქართულ დამშეულ მაზრათა თხოვნას... აქ თუ შესაძლებელი ყოფილიყო, **სულ სხვა კილოზე უნდა გამართულიყო ლაპარაკი...**“

ეს სიტყვები ნამდვილი გამომხატველია იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს ჩვენში ზოგი მებრძოლი „მეგობარი“ ბ-ნ აბაშიძისა. ისინი იბუტებიან, ჩუმად არიან, რადგან **სულ სხვა კილოთი ლაპარაკი** არ შეუძლიანთ. (ეს ის კილო ხომ არ არის, რომელიც ამბობდა: „საფრანგეთი და პარიზი იღუპება და თქვენ კი რაღაც ქეციან საქართველოზედ მელაპარაკებითო“. თორემ რამ დაუშალა ბ-ნ კიტა აბაშიძეს სწორედ ეს **სხვა კილო** ეხმარა და არავისთვის მიეცა უფლება ჩვენი კიდევ ერთხელ „ჩაწიხვლისა“? რატომ ჰგონია და იზიარებს ბ-ნი აბაშიძე იმ მდგომარეობას, რომ თბილისის თვითმართველობისაგან გამართული კრება, **სხვათა** ყრილობაა, „ჩვენ შეურაცხმყოფელთა ხელმძღვანელებისა“? ორში ერთი უნდა ექნა ბ-ნ აბაშიძეს:— ან ასეთი ყრილობა უნდა დაეტოვებინა და არც თვისი მეგობრები მიეშვა, ან თუ მივიდა, ყოველივე ძალ-ღონე უნდა ეხმარა, რომ წარდგენილი თხოვნა „სამარცხვინოდ“ არ დამალით. განა ის 7-8 ქართველი წარმომადგენელი, რომელნიც დაესწრნენ ყრილობას, მოვალენი არ იყვნენ ხმა აემაღლებინათ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ყრილობა მარტო „იმათი“ არ არის, იმის მაგიერ, რომ ეხლა ნიშნსაც კი უგებენ იმათ, ვინც ასეთი საქციელი დაჰგმო?

„არის ერთგვარი სიამაყე, არ გინდა შენი უბედურება შეამჩნევინო მათ, ვისი მხრითაც კბილთა ღრჭენის მეტს არაფერს გამოელი“. ეს არის უბრალო ფრაზა, არისტოკრატული გრძნობიერებისა და უნიათობის შედეგი, და არა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მებრძოლის მოსაზრებული გარდაწყვეტილება. იქ, საცა შენი ხალხისათვის „კბილთა ღრჭენის“ მეტს არას გამოელი, ქართველს რა ადგილი გაქვს? იქ ან უნდა იბრძოლოს, ან უნდა მოერიდოს იქ მისვლას, და არა იჯდეს გულმოკლული და ადასტურებდეს თავის იქ ყოფნით ამ „კბილთა ღრჭენას“.

ამიტომ ვამბობთ, და ეხლა უფრო თამამად, რომ ბ-ნ კიტა აბაშიძემ ვერ გამოიჩინა სათანადო მოქალაქობრივი გამბედაობა და საზოგადოებრივ ასპარეზზედაც ჩვეულებრივის საღვთისმეტყველო ლამენტაციებით გამოვიდა, რაიცა არა ნაკლები უნიათობაა, ვიდრე „სამარცხვინოდ“ აღიარება შიმშილზედ ლაპარაკისა, იქაც, საცა ეს „პროგრამაში არ იყო აღნიშნულიო“.

## ქართული ლექსიკონი

„სახ. გაზეთმა“ ქართულ ლექსიკონის საკითხი განაახლა. საკითხი თავისთავად საგულისხმიეროა. ჩვენც ვეცდებით ჩვენი აზრი განვუზიაროთ ჩვენს მკითხველებს.

ქართ. ლექსიკონის შედგენის საკითხი არ ახალია, ძველია მისი სრული ისტორია საბა-სულხან ორბელიანიდან მოყოლებული საინტერესოა მარტო იმ მხრივ, რომ მას შემდეგ მეცნიერულად შემუშავებული ლექსიკონი ქართველ ერს აღარ ჰღირსებია. მართალია, შემდეგ ჩუბინაშვილმაც სცადა დანაკლისი ამოევსო, მაგრამ დღეს ვიცით, რომ არც თუ მისი ლექსიკონები აკმაყოფილებს ადამიანს. უდიდესი მისი მნიშვნელობა გამოიხატა უფრო იმაში, რომ სიტყვების მასალა ნედლი სახით მოამზადა და ანბანზე დააწყო.

მაგრამ ახლა ხომ არსებულ ლექსიკონთა ავკარგიანობაზე არ არის საუბარი. ფაქტი ის გახლავთ, რომ ესენი ჩვენს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ. უკვე მომწიფდა საკითხის კარდინალური გადაჭრა. ამას ჰგრძნობს ყველა. ამასა ჰხედავს დიდი და პატარა და მაშ რაღა გასაკვირველი იქნებოდა, თუ მას უმთავრეს ყურადღებას ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება მიაქცევდა.

ოფიციალურ ანგარიშებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ წერა-კ. საზოგადოებას ეს საკითხი განსახილველად წარმოუდგენია 1910 წ. 16 დეკ. სულ დასწრებია 23 მცოდნე, ე. ი. წ. კ. ს. თითქმის მთელი შემადგენლობა. აღძრულ საკითხზე საჭიროდ დაინახეს ლექსიკონი სამს ენაზედ შეედგინათ. რომ საქმეს შესდგომოდნენ, იმავე დროს თანხაც გამოუღიათ 4000 მან.. აქედან ლექსიკონის შემდგენელს (ერთი კაცი ჰყავდათ ნაგულისხმევი) აძლევდნენ 1000 მან. დანარჩენი 3000 მან. უნდა ტეხნიკურ საჭიროებისათვის მოეხმარებინათ. მაშინ რედაქტორიც კი დაუსახელებიათ: ბ-ნი დავით კარიჭაშვილი.

მაგრამ, მოგეხსენებათ, კარგი სურვილები ქართველს უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფიქრებში ანუ ქაღალზე დაწერილი რჩება ხოლმე. ამ საკითხის ბედიც სწორედ ასე გადასწყდა და ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ აღარა გვესმის რა მის შესახებ. მხოლოდ 1915 წ. 12 მაისს მოითხოვეს საკითხის განახლება. ამ დღის კრებაზე მომხსენებლად გამოსულან ბ-ნი კ. დ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, მ. ჯანაშვილი და კარიჭაშვილი. ამათ მოხსენებიდან ყველაზე საინტერესოა ბ-ნ მ. ჯანაშვილის მოხსენება. აქ აღნიშნულია, რომ მომხსენებელს ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ 10,000,ზე მეტი სიტყვა მოუკრებია ძველის-ძველ წიგნებიდან, ხელ-ნაწერებიდან (დაბადება, სამოციქულო, წმინდანთა ცხოვრებანი და სხვა). პირველის მოხსენება, ბ-ნ ყიფიანისა, ვერ აკმაყოფილებს: სჩანს, ამასაც უმუშავნია, მაგრამ.., ნაწილი დაჰკარგვია. საინტერესოა ბ-ნ დ. კარიჭაშვილის მოხსენება. საინტერესოა იმ მხრივ, რომ მას, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონზე ჯერ არ უმუშავნია და ჰგრძნობს ამ საკითხის მეტად მძიმე მოვალეობას, რომ სამი წლის განმავლობაში წარმოვადგენ ჩვენს ლექსიკონს სამს ენაზე შემდეგი სახითაო: 1 წელიწადში წარმოვადგენ რუსულ-ქართულ ლექსიკონს, მეორე წელს, სახელდობრ 1 ღვინობისთვეს 1917 წ. ქართ.-რუსულ-ფრანგულს და 1918 წელს ფრანგულ-ქართულისასაო, გასამრჯელოდ მოუთხოვნია სამი წლის განმავლობაში 200 მან. თვიურად, ესე-იგი, 7200 მან.

როგორც სჩანს, გამგეობას მისი წინადადება მიუღია, თუ კი საზოგადოებაც დასტურს დასცემსო. ამისთვის საგანგებო კრების მოწვევაც კი საჭიროდ უცვნიათ. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ვიდრე ამ საგანგებო კრებას მოიწვევდნენ, ფაქტიურად საკითხი ზოგს კიდეც გადუჭრიათ, რაიც თუნდა იქიდანა სჩანს, რომ ბ-ნ კარიჭაშვილისთვის ჰონორარი 400 მან. უკვე მიუციათ.

ახლა იბადება საკითხი, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთმა კაცმა, თუნდა ისეთ მშრომელმა, მუყაითმა და საქმის კარგმა მცოდნე ადამიანმა, როგორც ბ-ნი დ. კარიჭაშვილია, ამ მცირე ხანში მოასწროს ასეთი სერიოზული შრომა, როგორც ლექსიკონია და ისიც სამს ენაზე! ანდა ხომ ისიც შეიძლება, რომ მან, ბ-ნმა კარიჭაშვილმა, მართლა გადაჰლახოს სიძნელის ზღუდე და საზოგადოებას წარუდგინოს ლექსიკონი, მაგრამ მარტო წარდგენა ხომ არის საქმე, უეჭველია, ასეთ მცირე ხანს შედგენილი ნამუშევარი ნაჩქარევი იქნება და ვაი თუ ღირსებითა და ხარისხით არსებულ ლექსიკონებს ვერაფრითაც ვერ აღემატოს. და თუ გამართლდა ეს ეჭვი, თუ მართ-

ლა ბ-ნი კარიჭაშვილი უნებურად ვერ წარმოადგენს სასურველ ლექსიკონს, მაშინ როგორ მოიქცევა საზოგადოება? უეჭველია, მიცემულ ჰონოარს ვერ წაართმევს უკან. ადამიანს შრომა ყოველთვის უნდა დაუფასდეს! თქმა არ უნდა, ნაშრომსაც იმ სახით ვერ გამოსცემს, და თუ გამოსცემს, ლექსიკონ მოწყურებულ საზოგადოებას ბევრად ვერაფრით დააკმაყოფილებს.

ყველა ამ მოსაზრების შემდეგ ჩვენი სურვილი იყო, თუ კი წ. გ. ს. მართლა ჰსურს ფართო საზოგადოების მოწვევა, კარგად ჩაუკვირდეს საკითხს. ჯერ კიდევ დროა აწონ-დაწონვისა და საკითხის სწორი გადაჭრისა. ვიმეორებთ, ჩვენ პირადად არავის შეურაცყოფა არა გვსურს. გვესმის ბ-ნ კარიჭაშვილის მდგომარეობაც, მაგრამ რა ვუყოთ, რომ დამოკლეს ხმალს ერთი დაკვრით არ სწყვეტ ხოლმე. საბამ, როგორც ვიცით, მთელი 30 წელი მოანდომა თვის ლექსიკონის შედგენას. ახლაც ერთ კაცს მეტად გაუჭირდება ქართულ სიტყვიერების ჭურჭელი რაოდენადმე მაინც ამოსწუროს და რიგიანად დაალაგოს. აქ უფრო კოლექტიური მუშაობაა საჭირო, როგორც ამას სჩადიან სხვაგან. აკადემიური შრომა შესაძლებელია აკადემიური სახით, შრომის აკადემიური განაწილებით.

დ. კ—ძე.

# ომის დღიური

## მიმოხილვა

გუშინ-წინ და გუშინ მოსული დეპეშები ახალს არაფერს იუწყებიან ვისლისა, ბუგო-ნარევისა და ნემანის ნაპირებზე არსებულ ბრძოლის შესახებ. მხოლოდ კოვნო-ლიბავის პირზე ისევ იბრძვიან და ამ ბრძოლას ისევ არ უჩანს დასასრული.

თანდათან ირკვევა მხოლოდ გალიციის უმაგალითო ბრძოლის ბედი. რამდენიმე დღის წინად ვწერდით, რომ ლიუბაჩისკენ მომავალ ავსტრო-გერმანელთა ჯარს მიზნად აქვთ ამოღებული „რავა რუსკაია“, რომელსაც მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იგი მდებარეობს ლვოვის ჩრდილოეთით 50 ვერსის მანძილზე. აქ თავს იყრის ოთხი რკინის გზა და ლიუბლინ-ხოლმის გუბერნიების გასაღებია. მდინარე ტანევის მარჯვენა ნაპირზე გადმოსული გერმანელთა ჯარი ორი გზით წამოსულა „რავა რუსკაია“-სკენ და 6 ივნისს მიახლოვებია მას 10—15 ვერსით. ამ მოძრაობით ავსტრო-გერმანელებს სურთ ორი მიზნის მიღწევა პირველი მიზანი ის არის, რომ ლვოვს ჩრდილო გზები მოუჭრას და რუსის გალიციის ჯარებს უტოვებს მხოლოდ აღმოსავლეთ გზებს; მეორე მიზანი ვისლის გაღმა დაბანაკებულ ჯარებს, რომელთაც მტრის ლიუბლინისკენ მოძრაობა ემუქრება საკვებ გზების გადაჭრას და შორეულ სტრატეგიულ მოვლას.

დნესტრზე რუსებს ერთხელ კიდევ გაუმარჯვნიათ და 7000 დაუტყვევებიათ.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**თბილისი**, 7 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 5 ივნისს ზღვის სანაპიროზე მოვიგერიეთ მტრის იერიში, რომელიც ჩვენი მარჯვენა წვერის წინააღმდეგ იყო მოტანილი. რუსეთის ცხენოსანთა რაზმი ქურთებს შეეჯახა ახლატის დასავლეთით, მელიაზგერთის მიმართულებით. კანის რაიონში უმნიშვნელო სროლაა მხოლოდ.

**პეტროგრადი**, 7 ივნისი. **უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.** შავლის რაიონში და მდ. ნემანის დასავლეთით ხშირი და გაუთავებელი ბრძოლა გრძელდება. ნარევის ხაზზე 6 ივნისს ედნოროთუცთან და გროდუსკთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ტანევის ფრონტზე მნიშვნელოვანი შეტაკება არ ყოფილა. 5 და 6 ივნისს რავა რუსკაიას მიმართულებით და გოროდოკის ტბების ფრონტზე მტერმა შემოგვიტია დიდის ძალებით, რომელთა შორის ბელგიიდგან ახლად გადმოყვანილი ჯარი იყო.

დნესტრზე 6 ივნისს გრძელდებოდა მედგარი ბრძოლა ნიჟნიოვის ქვევით გადმოსულ მტრის ძალებთან. მდ. დნესტრიდგან წამოსულმა მტერმა მოაღწია სოფ. კოროპეცთან და კოსმერჟინამდე, მაგრამ ენერგიული კონტრიერიშებით ხიშტებით უკუვაგდეთ დიდის ზარალით; აქ მარტო სოფელ კოსმერჟინში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 7000 ტყვეზე მეტი და 7 ტყვიისმფრქვეველი. პრუტსა და დნესტრს შუა 5 და 6 ივნისს ენერგიული ბრძოლა გრძელდებოდა. სოფ. ბალამატოვკში ხელთ ვიგდეთ 8 ტყვიისმტყორცნელი.

**პარიზი**, 6 ივნისი. გავასის სააგენტო იტყობინება, რომ იმპერატორმა ვილჰელმა პურ-დოე-მერიცის პირველ ხარისხის ორდენი უბოძა იმ წყალქვეშა ნავის უფროსს, რომელმაც გემი „ლუზიტანია“ ჩასძირა.

**ლონდონი**, 7 ივნისი. გემი „დელის“, 2000 ტონის წყალწყვისა, გაუფრთხილებლად ჩასძირა გერმანიის წყალქვეშამ, მეფოლდის ნაპირებთან. გარდა ერთისა, ეკიპაჟიდან ყველა გადარჩა.

**პეტროგრადი**, 7 ივნისი. მინისტრთა საბჭომ შეიწყნარა „1886 წლის საზოგადოება“, რომელიც გერმანელთა ფულით მოქმედებდა და შერიცხა მთავრობის უწყებაში. მზგავსი გარდაწყვეტილება გამოიტანეს მოსკოვში არსებულ საზოგადოების „ელექტრო-პერედაჩის“ შესახებაც.

**სტოკჰოლმი**, 4 ივნისი. ხელახლა აღიძრა საკითხი შვეციის ნეიტრალიტეტის შესახებ. დიდს უკმაყოფილებას იწვევს ინგლისსა და საფრანგეთში შვეციის სატრანზიტო ფოსტისათვის შემოღებული ცენზურა, შვეციის ხომალდების „კირვალისა“ და „ინგლისის“ გასაშინჯად წაყვანა და გერმანიის მიერ შვეციის ხომალდების ჩაძირვა და დატყვევება. ის წრეებიც კი, რომელნიც აქამდე მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავდნენ, ამ ჟამად მოითხოვენ მეტად ენერგიულ საპასუხო ზომებს წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა, და განსაკუთრებით ინგლისისა. „სვენსკა-დაგბლატი“ წინადადებას იძლევა ინგლისის ცენზურას უპასუხოს ტრანსოკეანეს ფოსტისა და ტელეგრაფის ცენზურით. ლიბერალი „სტოკჰოლმის ტიდნინგენი“ სწერს: „შვეციას, როგორც ტრანზიტისა და ექსპორტის ქვეყანას, ინგლისისა და გერმანიის წინააღმდეგ შეუძლიან მიიღოს უფრო სასტიკი რეპრესიები, რადგან მათს მტაცებლობას საზღვარი აღარ აქვს“. რადიკალი „დამენსპიეტერი“ ფიქრობს, რომ შვეციას აქვს სერიოზული საბაბი იჩივლოს, რადგან საქმე უბრალო ქინძისთავის ჩხვლეტაში კი არ არის, არამედ ნამდვილ მუშტ-კრივშია. მდგომარეობა საშიში და აუტანელი ხდება შვეციისათვის, რადგან მისი უფლებები ისე სერიოზულად შეილახა, რომ მთელი შვეცია თხოულობს მთავრობისაგან გადაჭრილი ზომების მიღებას, რათა მდგომარეობა შეიცვალოს“. ოფიციალური „სტოკჰოლ-დაგბლატი“ განმარტავს „რუსკოე სლოვოს“ წერილს შვეცია-რუსეთის დამოკიდებულების შესახებ და სწერს: „შვეცია სრულიად არ ცდილობს უეჭველად და ბოლომდე ნეიტრალიტეტი დაიცვას. ამ აზრს ნათლად გამოხატავს შვეციის მეფის ცნობილი სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ჯავშნოსანის წყალში ჩაშვების დროს. ეს მნიშვნელობით აღსავსე სიტყვა ასე განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს: „პატიოსანი სურვილი სასტიკი ნეიტრალიტეტის დაცვისა, ხოლო ამავე დროს მტკიცე გადაწყვეტილება რომ შვეციამ საჭიროების დროს შეერთებულად და ვაჟკაცურად მიიღოს იძულებითი ომი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

**პეტროგრადი**, 5 ივნისი. გუშინ საღამოს, პავლეს სასახლის სამგლოვიარო დარბაზში მათი საიმპერატორო უმაღლესობათა, უავგუსტოესი ქალიშვილების ოლღა ნიკოლოზის ასულის და ტატიანა ნიკოლოზის ასულის თანადასწრებით გადახდილ იქნა პანაშვილი ღვთით განსვენებულის დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სულის მოსახსენებლად. დღეს განსვენებული დიდი მთავრის კუბოსთან თითქმის განუწყვეტლივ პანაშვიდებს იხდიდნენ. ნაშუადღევის 5 საათზე გადახდილ იქნა პანაშვიდი საიმპერატორო გვარეულობის მეთოფეთა სურვილით.

**სტოკჰოლმი**, 6 ივნისი. ბერლინიდან იუწყებიან: გერმანიის გამოკვების საკითხს შეეხენ სამხედრო კომიტეტისა და გერმანელ მომხმარებელთა სხდომაზედ. ამ სხდომას დაესწრო ბევრი პროფესორი და გენერალური შტაბის წარმომადგენლები. ვრცელი მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ბოლლოდიმ, სადაც აღნიშნული იყო, რომ გერმანიაში საკვები სურსათის შემოზიდვამ ძალიან იკლო. ხორბლეული შემოაქვთ ერთი მეოთხედი იმისა, რაც ჩვეულებრივ დროს შემოჰქონდათ. კვერცხი და ქონი სრულებით არ შემოაქვთ. ყველა ამის მიუხედავად შემოტანილი საქონელი შეადგენს 27 პროც. მთელი იმ სანოვაგისას, რასაც დღეს-დღეობით გერმანია ხმარობს. ბოლლოდის აზრით, გერმანიას ეყოფა დღეს რომ პური აქვს, თუ გამოზოგვით ხარჯა. უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია ხორცის საკითხი, რადგანაც მტრის იმ ადგილებში, რომლებიც გერმანელებს ხელთ უჭირავს, ხვადაგი მოუხმარიათ კიდეცა, და ამიტომაც ხორცის ულუფა უნდა განახევრდეს, როგორც ლუდის ხმარება განახევრდაო. ბოლლოდიმ მოითხოვა მომავალი მოსავლის იძულებითი ჩამორთმევა კერძო მესაკუთრეებისაგან და ურჩია დამსწრეთ გადამეტებულ ოპტიმიზმს ნუ მიეცემითო. ხარჯვაში დიდი ეკონომიის გაწევის საჭიროება აღნიშნეს სხვა დამსწრეთაც. ყველამ სხვათა შორის აღნიშნა, გერმანიის ხალხი ფიზიკურად უძლურდება უკმარი კვებისაგანო.

**პეტროგრადი**, 6 ივნისი. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გარდაცვალების გამო გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომ პირველი ხუთი კლასის მოხელეებმა გლოვის ნიშანი ატარონ.

**რომი**, 5 ივნისი. საზღვაო შტაბის უფროსი იუწყება: ფანო და პესაროს მახლობლად გაყვანილ რკინის გზის ერთ ნაწილს დღეს დილით ავსტრიის კონტრნაღმოსნებმა ყუმბარები დაუშინეს. მსხვერპლი არ ყოფილა. ზარალი უმნიშვნელო იყო. გაუმაგრებელ ქალაქებს, პესაროს და რიმინს ყუმბარები დაუშინეს. დაზიანდა რამოდენიმე კერძო სახლი; რიმინში დაშავდა სამი კაცი. იტალიის დირიჟაბლი მტრის ბანაკზე გადაფრინდა, ყუმბარები დააყარა რკის გზის მნიშვნელოვან კვანძს, დივაკას და სერიოზულად დააზიანა. დირიჟაბლი უვნებლად დაბრუნდა, თუმცა მტერმა ცხარე თოფის სროლა აუტეხა და ტყვიისმფრქვეველიც აამუშავა მის საწინააღმდეგოდ.

მტრის წყალქვეშამ ჩაგვიძირა წყალქვეშა „რედუზა“, რომელმაც საგულისხმიერო დაზვერვა მოახდინა. ავსტრიელთა ცნობით, კომანდიდან ერთი ოფიცერი და 4 მეზღვაური გადარჩენილა.

**ლვოვი**. ბრძოლა ქალაქს მოუახლოვდა და ლვოვში ზარბაზნების გრიალი ისმის.

**პეტროგრადი**, 5 თიბათვე. საგანგებო თათბირი ჰქონდა რკინის გზებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და სხვა უწყებების წარმომადგენელთა კრებას დადგენილ იქმნა: მოემატოს არსებული ტარიფი მცირე და საშუალო მანძილზე გადატანისა დროებით დადგენილ სამხედრო ნიხრის ფარგლებში, ხოლო დიდ მანძილზე დააკლდეს ქონსა, საპონსა, სანთელსა და წუმწუმაზე.

**სტოკჰოლმი**. ბუდაპესტიდან ოფიციალური ცნობაა, რომ იქაურ მთავრობას გადაუწყვეტია ხალხს ნაწილადევად ჩამოართვას მთელი 1915 წლ. მოსავალი პურისა, ქერისა და ჩალის მოსავალიც შვრიისა, ვაჭრობის კი მიეცეთ უფლება თავისუფალ მოხმარებისა. გარდა ამისა, იტყობინებიან უნგრეთის სამხედრო სასურსათო კამპანიის დაარსების შესახებ 20 მილიონ კრონის თანხით. დამაარსებლად ითვლება უნგრეთის მთავრობა.

გერმანიის მთავრობის ფარისევლობა უმაღლეს საზღვარს აღწევს. აქ გამოგზავნილ გაზეიადებულ დეპეშებში ისინი თავის გულის წყრომას გამოსთქვამენ შესახებ კარლსრუეში ყუმბარების ჩამოყრისა ფრანგ მფრინავების მიერ, რათა აღამხედროს შვეცია საფრანგეთის წინააღმდეგ, ყოველთვის დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ შვეციის დედოფალი ყუმბარების სროლის დროს იმყოფებოდა კარლსრუეს სასახლეში, ამასთანავე თვით მემკვიდრე მაკსის შვილებიც განსაცდელში იმყოფებოდნენო. ნამდვილ წყაროებიდან სჩანს, რომ კარლსრუეში სულ მოუკლავთ და დაუჭრიათ 84 კაცი. სასახლეც ძალიან დაზიანებულა.

**პეტროგრადი**, 6 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. შავლის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ნემანის დასავლეთით სუვალკისა და კალვარის მხარეს გერმანელებს მცირე იერიშები მოჰქონდათ 4 და 5 ივნისს, მაგრამ ჩვენ მიერ მოგერებულ იქმნენ. რავკის პირას 4 ივნისს გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ აქაც მოვიგერიეთ.

გალიციაში ტანევის ნაპირზე მოწინავე რაზმთა შეჯახება მოხდა. „რუსკაია რავას“ მიმართულებით 5 ივნის, ღამით, ნოვინისა და ულიცკოს რაიონში სასტიკი ბრძოლა მოხდა. ლიუბაჩევიდან დაწვრილებითი ცნობები მოვიდა. 2 ივნისს აქ ჩვენს ცხენოსან ჯარს ბრძოლა მოუხდა გერმანელთა ქვეითა ჯართან. მთელი მე-91 პოლკი აუჩეხნიათ და გაუფანტიათ. ამ იერიშმა გერმანელებში ერთგვარი ზარი გამოიწვია და მათი იერიშები შეაჩერა, ბამენნი ბროდთან გერმანელები შეეცადნენ იერიშით შეეტიათ და გოროდოკის ტბები გადელახათ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. სროლა მაინც გრძელდება. ნიჟნიოვის ქვემოთ, გორიგლიადთან და დოლინასთან გერმანელებმა დიდძალი ჯარი გადიიყვანეს დნესტრზე, მაგრამ ყველა მათი მეცადინეობა 4-5 ივნისამდე, რომ რუსებისთვის ღელის კარებები დაეხურნათ, ამაო დარჩა. რუსებმა თამამად მოიგერეს ს. კოსოპეტსა და სნოვიდულთან. კრეტისა და დნესტრის შუა სასტიკი ბრძოლაა. ონუტისა და ბოიანის პირზედ ჩვენ წინ წავიწიეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მტერს განგებ ვუთმობთ ადგილს.**

„რუსკი ინვალიდი სწერს:

ჩვენი გეგმა, ეტყობა, შეუცვლელი რჩება. დედა აზრი გეგმისა ის არის, რომ წინააღმდეგობის გაწევით მტერი თანდათან დავაუძლუროთ და დავასუსტოთ. განგებ მტრის ხელში ვსტოვებთ სამხედრო ოპერაციების თაოსნობას და ზოგან პასიურად ვებრძვით, მხოლოდ ზოგჯერაც ხანმოკლე შეტევას ვაწარმოებთ. დიდხანს არც ძველს ადგილზედ ვრჩებით, რაც გინდ მაცდური და მომხიბლავი იყოს იგი. ასეთი გეგმა ღრმა მიზეზებზეა დამოკიდებული, რაკი აღმოსავლეთის და დასავლეთის ფრონტზე მოკავშირენი ერთად დასდგომიან მას.

**ვილსონის კაბინეტის განცხადება.**

ჩინეთის რესპუბლიკას შემდეგი ცნობა გადასცა შეერთებული შტატების მთავრობამ: შეერთებული შტატების რესპუბლიკა მხოლოდ იმ ხელშეკრულობასა და პირობებს შეიწყნარებს, რომლებიც აღიარებენ ჩინეთის მიწა-წყლის ხელშეუხებლობას ჩინეთის საზღვრებში და თავისუფალ მეტოქეობის საშუალებას ანიჭებს ყველა სახელმწიფოებს.

**იაპონელთა საწინააღმდეგო მოძრაობა ჩინეთში.**

ჩინელებმა საერთო ბოიკოტი გამოუცხადეს იაპონელებს. ზოგ ადგილას ბოიკოტი ძალადობაში გამოიხატა. ხანკოუში იაპონელები დაარბიეს. ჩინელებს დიდი მძულვარება ემჩნევათ იაპონელებისადმი. იაპონელთა არა მარტო ქონება და დოვლათი, არამედ თვით სიცოცხლეც ხიფათშია ჩავარდნილი. იაპონელებმა თავსაცავი რაზმი შეადგინეს ახალგაზდობისაგან. ბოიკოტი სასტიკად არის დაცული და ფართოდ მოედო ბევრ ქალაქს. იაპონელები ზარალისაგან დიდხანს სულს ვერ მოითქვამენ. განსაკუთრებით ორი საზოგადოება აღვივებს მძულვარებას იაპონელებისადმი; ერთია „ჩინეთის ხსნის

# საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

V

**საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ფაქტიური გაუქმება და მისი შედეგები.**

როგორც ვიცით, დღეს ჩვენი სამღვდელოება ჯამაგირს ხაზინიდან იღებს, ხოლო წვრილ შემოსავალსა და „დრამას“—პირდაპირ ხალხისაგან. პირველი გარემოება მას აჯაჭვავს სახელმწიფოზე და ამდენათვე აშორებს ხალხს; მეორე გარემოება კი—აერთებს ხალხთან და ამდენათვე აშორებს სახელმწიფოს. აქედან წარმოსდგება ორჭოფი მდგომარეობა სამღვდელოებისა და ხალხის ურთიერთობაში: სამღვდელოება მთლად არც ხალხს ეკუთვნის და არც სახელმწიფოს, არც მთლად ხილხისაა და არც სახელმწიფოსი. აუცილებლად საჭიროა, ეს ანორმალური მდგომარეობა მოისპოს და სამღვდელოება ნივთიერადაც მხოლოდ მას ეკუთვნოდეს, ვისაც იგი სჭირდება, ე. ი. მრევლს ანუ მორწმუნეებს. ამიტომ საჭიროა—სამღვდელოებამ გადაჭრილი ჯამაგირი პირდაპირ ხალხისაგან ანუ ეკლესიის წევრთაგან მიღოს და არა სახელმწიფო ხაზინიდან, როგორც ეს დღემდე იყო. ასეთია პრინციპიალური გადაწყვეტა ამ საკითხისა.

მაგრამ რადგან თვით ის ფულიც, რომელსაც დღეს მთავრობა ჩვენს სამღვდელოებას ჯამაგირად აძლევს, იმავე ხალხის ოფლითაა შექმნილი; რადგან ის საეკლესიო მიწები, რომელნიც ბიუროკრატიულმა მთავრობამ ძალადობით ხაზინას გადასცა, იმავე მშრომელ ხალხისა იყო და არის,—ყოველისავე ამის გამო, სანამ აღნიშნული მიწები ფაქტიურადაც მშრომელ ქართველ ხალხსავე არ გადასცემია სრულ საკუთრებად და სანამ ზემო-აღნიშნული ჯამი ხალხის სახაზინო გადასახადებიდან არ გამოურიცხავთ, მანამდე ჩვენს სამღვდელოებას ზნეობრივი უფლება არა აქვს პირდაპირ და მხოლოდ ხალხს დააწვეს სარჩენად.

ამიტომ, სანამ სამღვდელოების რჩენის საკითხს სრულიად რუსეთის საკანონმდებლო კრება საბოლოოდ გადასწყვეტდეს,—სახელმწიფო ვალდებულია სამღვდელოებას ჯამაგირი აძლიოს; ხოლო მრევლმა მისცეს იმდენი, რამდენიცა სურს და შეუძლიან.

ასეთია ჩვენი შეხედულება საქართველოს ეკლესიის სასურველი რეორგანიზაციის შესახებ.

ზემო-აღნიშნული შეხედულება უკვე დაწერილი გვქონდა, როცა ერთმა ნაცნობმა გაგვაცნო, 1905 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების დელეგატთა მიერ ქ. თბილისში შემუშავებული „პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა“ *). როცა ეს პროექტი გავიცანით, პირდაპირ გავოცდით: იმდენი მსგავსება აღმოვაჩინეთ იმ პროექტსა და ჩვენს გეგმას შორის. ჭეშმარიტათ ქების ღირსნი არიან პროექტის შემდგენელი მამები ესოდენ დემოკრატიულ და თან წმინდა ქრისტიანულ პრინციპებზე აგებულის პროექტისათვის. ვურჩევთ ყოველ მკითხველს, უსათუოთ მოიპოვოს „სასულიერო მოამბის“ დასახელებული ნომერი და ეს პროექტი გულდასმით გადაიკითხოს. უკეთესი პროექტის შედგენა ამ ბურჟუაზიულ ხანაში ყოვლად შეუძლებელია. ეს პროექტი იმდენათ სრული და უნაკლულო გვეჩვენება, რომ იძულებული შევიქენით ბევრი რამ თვით ამ წერილშიაც იმ პროექტის თანახმად შეგვეცვალა და ტერმინები შეგვესწორებია.

. . . . . . . . .

ერისგანი.

(დასასრული)

*) იხ. „საქართველო“ № 13.

*) დაბეჭდილია მთავრობის ჟურნალში „Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата за 1906 годъ № 3. стр. 11—21 (ქართული განყოფილება).

გაზეთი „საქართველო“
პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი, 1 დეკემბრისთვემდე—3 მან., ერთი თვით—75 კაპ.

პატრიოტული ლიგა“, რომელიც ცდილობს შექმნას დიდი ფონდი და მოახმაროს იგი სამხედრო ძალის მოგვარებას, რომ ერთ დღეს დამცირების სანაცვლო მიუზღოს იაპონიას. მეორე საზოგადოებას ეწოდება: „ჩინეთის რესპუბლიკის ეროვნული დამცირების ხსნების საზოგადოება“. ამას უფრო მშვიდობიანი მიზნები აქვს დასახული; იგი სცდილობს ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნასა და სურს იაპონური წარმოების საქონელი განდევნოს ჩინეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ორივე საზოგადოება დაარსდა, მათ დიდი გავლენა მოიპოვეს ჩინეთში. საზოგადოება დიდის გაფაციცებით ყურს უგდებს მათ სიტყვას და დაუზარებლად გამოაქვს თვისი წვლილი. იაპონიის პეკინელმა ელჩმა პროტესტი გამოუცხადა ჩინეთის მთავრობას, იაპონელთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობისათვის.

**რად ხმარობენ გერმანელები შხამიან გაზებს.**

„Petit Parisien“-ის კორესპონდენტს უკითხავს ერთ გერმანელ ტყვესათვის, რომელსაც პარიზში მიუღია განათლება და მოუსმენია ფოგესი და ლანსონის ლექციები: გერმანელებს რომ ასე მოაქვთ თავი თავიანთ კულტურითა, რად ხმარობენ საერთაშორისო ხელშეკრულობით აკრძალულ შხამიან გაზებსაო, ტყვეს უპასუხნია: რადგანაც გერმანიას ცა და ქვეყანა დაესია, იგი ვერ დაიცავს ვერც კონვენციას და ვერც ომის კანონებსო. ეს შეხედულება განმტკიცდა განსაკუთრებით იტალიის გამოლაშქრების შემდეგ. მტერთა გასაოცარი სიმრავლის გამო, გერმანიამ მიმართა თავის მეცნიერებს და სთხოვა გამოეგონათ ისეთი გაზი, რომელიც მცირე საკუთარის ზარალით, რაც შეიძლება მეტს ზარალს მიაყენებდეს მტერს, და ამან გამოიწვია შხამიანი გაზების შემოღებაო.

**ახალი ტიპის გაუბიცები.**

ავსტრიული გაზეთების სიტყვით, დასავლეთ გალიციაში ავსტრიელებთან გერმანელები ხმარობენ ახალი ტიპის 15 სანტიმეტრიან გაუბიცებს.

**რკინის გზის მოსამსახურენი ჯარში.**

ჰოლანდიის გაზეთების სიტყვით, მას შემდეგ რაც იტალიამ ომი გამოაცხადა, გერმანიამ რეინის პროვინციებიდან ჯარში გაიწვია რკინის გზის ის მოსამსახურენიც, რომლებიც ადრე სრულიად განთავისუფლებულ იყვნენ სამხედრო ბეგრისაგან.

**რუსი ტყვეები სამუშაოდ გაჰყავთ.**

ტიროლში გერმანელები რუს ტყვეებს სანგარ-თხრილებს ათხრევინებენ და მინდვრების დასამუშავებლად აძლევენ მემამულეებს.

**სომხებს ოსმალები აუწიოკებიათ თურმე.**

პორტამ პასუხი გასცა სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა დეკლარაციას, რომელიც შეეხებოდა სომხების აწიოკებას ოსმალეთში. პორტა უარჰყოფს სომხებისადმი მკაცრ მოპყრობას და მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები რევოლიუციური მოძრაობისა, რომელიც მოუხდენიათ ქრისტიანებს, განსაკუთრებით მცირე აზიის სომხებს. საპასუხო ნოტაში ნათქვამია, ამ მოძრაობას მიზნად ჰქონდა აეჯანყებინა მთელი სომხობა მცირე აზიისა და მოეხდინათ ოსმალთა ელეტააწიოკება. ამ უკანასკნელის ცხად საყოფელად, საპასუხო ნოტაში ჩამოთვლილია სოფლების მთელი წყება, სადაც სომხებს სათითაოდ ამოუწყვეტიათ მკვიდრი ოსმალნი.

**ზავის პირობები.**

ვაშინგტონიდან „Morning post-ს“ ატყობინებენ: ჰოლანდიელი ჰელდემესტერი, რომელიც აქ ზავის სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად ჩამოვიდა, გერმანიის მთავრობის ნამდვილი აგენტია. ეს საბოლოოდ გამოირკვა. ეს ჰოლანდიელი ბერლინიდან ვაშინგტონს 10 მაისს ჩამოვიდა. წამოსვლის წინ მას თათბირი ჰქონდა ბეტმან-ჰოლვეგთან, გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრებთან, ბ-ნ ფონთაგოვთან და ბ-ნ დელბრიუკთან. ვაშინგტონს ჩამოსვლის უმალ, ჰელდემესტერმა ჯერ გრაფი ბერნსტრაფი ინახულა და მერე ამერიკის მთავრობის ზოგიერთი წევრი. ესაუბრა აგრეთვე ბ-ნ ბრაიანს. ამ ჰოლანდიელის სიტყვით, გერმანია ეხლავე ზავს დაყაბულდება თუ რომ: 1) მას უზრუნველ ყოფილი ექნება ზღვად თავისუფალი მიმოსვლა როგორც მშვიდობიანობის, აგრეთვე ომიანობის დროსაც, 2) პოლონეთის საკითხის გადაჭრა მოხდება მხოლოდ გერმანიის თანხმობით, 3) გერმანიას დაუბრუნდება ყველა ახალშენი, კიაო-ჩაოს გარდა, რომელიც ჩინეთს უნდა გადაეცეს. გერმანიის აზრად არ აქვს ტერიტორია შემოიმატოს, 4) გერმანია შემოიერთებს ლიუქსემბურგს და საფრანგეთს დაუბრუნებს ალსაზასსა და ლორენს.

ამერიკული გაზეთების აზრით, გერმანიის დიპლომატიის ეს ახალი ნაბიჯი ორ მიზანს წვდება. ერთი ისაა რომ ამერიკა დაარწმუნოს, ომის გაგრძელების ბრალი ამიერიდან ინგლისს ედებაო და მეორე ისა, რომ ამერიკაში მოძრაობა შექმნან ზავის სასარგებლოდ.

**ახალი ხერხი ოსმალეთში კონტრაბანდის გასაზიდავად.**

სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, ბულგარეთის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან, რომ მას დაეთმოს ოსმალეთის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც გადის დედე-აგაჩ-მუსტაფ-ფაშას რკინის გზის ლიანდაგი. დღეს ამ აღნიშნულს ადგილს მოკავშირეთა ესკადრისაგან ალყა აქვს შემორტყმული.

ეჭვი არაა, ეს მოლაპარაკება ხერხია გერმანიის დიპლომატიისა. როდესაც ბულგარეთი, კომპენსაციის სახით, ამ ადგილს ოსმალეთისაგან შეიძენს, მას საშუალება მიეცემა თავის რკინის გზით და მხოლოდ თავის ტერიტორიაზედ კონტრაბანდა გაატაროს და ოსმალეთს მიაწოდოს. სტამბოლში ამ მოლაპარაკების გამო საგანგებოდ გაგზავნილ დელეგაციაში ურევია მეფე ფერდინანდის პირადი მდივანი, ბ-ნი კალჩევი, რომელსაც ერთხელ, 1912 წელს დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული. მას დავალებული ჰქონდა ოსმალეთთან სეპარატიული ზავის შეკვრა ბალკანეთის ომის დროს.

**კრუპის ახალი ქარხანა და ახალი უშველებელი ზარბაზანი.**

ჰოლანდიის გაზეთების ცნობით კრუპმა დაამთავრა ახალი ქარხნის აგება ესენში. ეს ქარხანა გაიხსნა 18 მაისს. სამუშაოდ მოწვეული არიან გამოცდილი მუშები, რომელთა თავმდაბალ ყოფაქცევაში ქარხნის ადმინისტრაცია დარწმუნებულია. ამბობენ, იქ უნდა ახალი იარაღები ჩამოასხან, რომელთა პროექტი ამ რამოდენიმე თვის წინად მოიწონა გერმანიის გენერალურმა შტაბმა. ამბობენ იმასაც, გერმანელებმა უშველებელი ზარბაზნები გამოიგონესო. ეს ზარბაზნები შეკუმშული ჰაერით სარგებლობენ მდულარე სითხის შორს მანძილზე გადასასხმად, და თანაც სწორ და დიდმანძილიან ნიშანს იღებს.

# სიტყვა და საქმე

თვენახევრის წინად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ დეპეშით მიჰმართა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამთო დეპარტამენტს და სთხოვა დაეჩქარებინა დეპარტამენტს ნებართვის მოცემა ნახიჩევანის და ერევნის გუბერნიაში გოგირდის დამუშავებისა, სადაც მაღაროების დამუშავების ნება მხოლოდ რუსს-ინგლისის კამპანიას აქვს. ეს კამპანია საზოგადოებას პირობით შეეკრა, გოგირდი მცირე ფასში ეძლია მისთვის. კამპანიას მხოლოდ ის პირობა ჰქონდა დადებული კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან, რომ მას ხაზინიდან დასამუშავებლად უფლება აეღო. საზოგადოებამ თავგამოდებით დაიწყო მუშაობა, მან მიჰმართა მეფის მოადგილის კანცელარიის სამთო განყოფილებას, სამთო დეპარტამენტს და თვით ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დეპეშა გაუგზავნა საზოგადოებამ, მაინც დღემდე პასუხი არ მოსულა. დრო კი გადის. მევენახეებს გოგირდი სჭირდება. გოგირდის ფასმა საშინლად აიწია. მაღაროებიდან დამუშავებული აუარებელი გოგირდის მადანი მთა-გორებივით გამოუყენებლად აწყვია, ლაპარაკით კი მოკლე ხანში მრეწველობის აყვავებას ვაპირობთ.

# ეროვნული დღე

ქართველები მდიდარნი არა ვართ ეროვნული მოღვაწეებით, ისეთი მოღვაწეებით, რომელთა ღვაწლი საუკუნო და წაუშლელ კვალსა სტოვებს ერის ხსოვნასა და ცხოვრებაში. მაგრამ კიდევ უფრო ღარიბნი ვართ ეროვნულ დღესასწაულებით; ნინოობა, თამარობა და ილიას დღე,—აი მთელი სია ჩვენი საეკლესიო და საერო ნაციონალური დღეებისა. წელს ამ სიას ემატება ერთი ახალი დღე, რომელსაც ქართველი ერი, იმედია, თავის ნაციონალურ დღედ, ეროვნულ დღესასწაულად გაიხდის, ეს დღეა—**აკაკის დღე**, დღე მგოსნის დაბადებისა, 9 ივნისი. ამ დღეს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ინიციატივით, ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში გაიმართება ლექციები, წარმოდგენანი, დილა-საღამოები. ან სეირნობა, რომელთა მიზანი იქნება დიდებული მგოსნის ხსოვნის პატივისცემა. მთელი წმინდა შემოსავალიც აკაკისავე სახელობის „ზეპირსიტყვიერების ფონდს“ მიემატება. ამგვარივე დღე იმართება ჩვენს დედა ქალაქ თბილისშიაც, ფრიად საინტერესო პროგრამით, და, იმედია, ქართველი საზოგადოება თავის წმინდა მოვალეობად ჩასთვლის ამ ეროვნულ დღესასწაულს დაესწროს და მით დაამტკიცოს, რომ იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც პატივსა სცემს დიდებულის მგოსნის და მამულიშვილის დაუვიწყარ ხსოვნას. საღამოს გამმართველნიც სრულიად დაიმედებულნი არიან, რომ ეს ასე იქნება და ამიტომ საჭიროდ არა სცნობენ ბილეთები დაგზავნონ ან ჩამოატარონ, რადგან ეს ერთგვარი ძალდატანება იქნებოდა: ეროვნული დღესასწაული კი მუდამ ნებაყოფლობით უნდა იყოს, თვით ერის, საზოგადოების საკუთარ სურვილზე დამყარებული, და არა ძალდატანებითი-

# გერმანელები ლიბავაში

ლიბავაში შესვლისთანავე გერმანელებმა დაუყოვნებლივ ყველა დუქნები, მაღაზიები და სავაჭრო საწყობები დაიჭირეს. ჯერ კარები დაბეჭდეს და შემდეგ იქვე ყარაულები მიუყენეს. მთელი საქონელი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. სახელდახელოდ მოჰკრიბეს თეთრეულობა, საცმელი, ტილოულობა, ფეხსაცმელები და ტყავეულობა. განსაცვიფრებელი იყო, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საპონს, სუნნელებს, ერთი სიტყვით, საპირფარეშო ნივთებს. მომხდარა ისე, რომ ოქროულისთვის ხელი არ უხლიათ და საპონზე კი ტაციობა გაუმართავთ. შემდეგ ქალაქის ყოველ კუთხეში განცხადებანი გამოაკრეს. იწვევდნენ მამაკაცებს 16—47 წლამდე. ჯარში უნდა ჩაეწეროთ, რადგანაც ლიბავა გერმანელთა ქალაქია, მაშასადამე, მცხოვრებნი გერმანელთა ქვეშევრდომნი, და მოვალე არიან სამშობლო გერმანია დაიფარონო. ვინც არ ისურვებს წასვლას, მას სამხედრო ტყვედ წავიყვანთ, ვამუშავებთ, ურიებს კიდევ ისე მოვეპყრობით, როგორც სამშობლოს მოღალატეებს შეჰფერითო“.

მეორე ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ დანარჩენ მცხოვრებთ შეუძლიანთ ლიბავიდან გავიდნენ. თანაც შენიშნავდნენ: „წასვლა არ შეუძლიანთ მხოლოდ იმათ ცოლებს, ვინც ჩვენს ჯარში ჩაეწერნენო. ამათი ცოლები ქმრებს გამოჰყვებიან, რომ ანუგეშონ იგინი და მძიმე ტვირთი შეუმსუბუქონო.

ბავშვებს, ავადმყოფებს და სუსტებს დაბეჯითებით სთხოვდნენ ქალაქის დატოვებას. „ბავშვები უნდა შევიბრალოთ, როგორც მომავალი თაობა, ბებრები კი ვის რად ეჭირვება და მათი დასჯა ცოდო-ბრალი იქნებაო. ვინც ლიბავიდან წინდაწინ გაიქცნენ, მათი ქონება საკუთრებად გამოაცხადეს. რაც შეეხება სახელმწიფო ქარხნებს, მათ არც წუთით შეუწყვეტიათ მუშაობა: რაც რუსეთის მთავრობას სჭიროდა, სჭირიათ გერმანელებსაც. ამიტომ ქარხნების მუშაობა ძველებურად იქნება და ხელფასიც ძველებური და ძველებურადვე მიიღებთო. ასევე წაიღეს სურსათეული, ცხენები და მრავალი სხვა. თავისი მხრით დავარდნილ ცხენებს ჰყიდდენ იმათზე, ვისაც ქალაქიდან წასვლა უნდოდა. თა სულზე თითო თითო უხეირო ცხენი გაჰყიდეს.

ლიბავიდან მცხოვრებნი სხვა და სხვა სახით გამორბოდნენ. ჯერ ისინი გაიქცნენ, ვინც შეძლებული იყო. მეორეჯერ გერმანელების მოსვლისას მასიურად გამორბოდნენ გრობანისა და გაზენპოტისკენ, რომ გოლდინგენიდან რიგამდე მისულიყვნენ.

გზა და გზა ერთი რიგი გამოქცეულებისა მეორეს ეწეოდა და მალე ერთს დაუსრულებელ ტალღად გადაიქცა იგი. მრავალნი სწუხდნენ სახლ-კარის მიტოვებას, მრავალნი კიდევ მუშტებზე იცქირებოდნენ და ულოდოდ წყევლა-კრულვას უთვლიდნენ გერმანელებს.

რიგაში ლიბავიდან გამოქცეულები მატარებლით მოვიდნენ. ტევა აღარ იყო არა თუ შიგნით, გარედანაც კი ჩამოჰკონწიალებულიყვნენ სახელურებს, ზოგნი კიდევ მატარებლის საფეხურზე ასულიყვნენ. რომ რაიმე მსხვერპლი არ შეწირულიყო და გამოქცეულთა ზედახორაობისთვის თავი დაეღწიათ, თვით ხალხმავე თვისი ერთგვარი პოლიცია დაიყენა და იგი განაგებდა მატარებელში მათს დაბინავებას, რა თქმა უნდა, რიგ-რიგობით. მატარებლის კარამდე ორპირად გამწკრივდნენ, შემდეგ მსურველთ კენჭს უყრიდნენ და ვისაც შეხვდებოდა, პირველად იმას გაატარებდნენ ხოლმე თავიანთ შორის.

რიგაში მოსვლისას გამოქცეულთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ აზობოქრებული ზღვის ტალღები გვეგონებოდათ. მარტო პირველ ღამეს რიგაში 40 ათასი გამოქცეული შეიჭრა. შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე დღეს არ შეწყვეტილა ტალღა იგი. რიგელთა საპატიოდ უნდა ვსთქვათ, რომ დიდის თანაგრძნობით და მოხერხებულად გაუძღვნენ ამ მოწოლილ ტალღას და ყველა შესაფერისად დააბინავეს. ეს უნდა მიეწეროს რიგელთა თავდარიგიანობას, მათს თავაზიანობასა და უმთავრესად მჭიდრო ორგანიზაციას. მათ გამოქცეულთა ტალღა ქალაქის შუა გულამდე არც კი შეუშვიათ. სხვა და სხვა გვარი კავშირები, საზოგადოებანი თუ ორგანიზაციები, ხელად აივსებოდნენ კლუბებში, საკრებულო შენობებში, თავისუფალ ბლლებში და სხვ. მასპინძლობა სხვაგვარადაც გამოიჩინეს! სასმელ-საჭმელი უხვად მოჰქონდათ. ერთი კია, რიგაში ამ ახალი ტალღისა გამო ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. თვით იქაური მცხოვრებნი შეშინდნენ და უნებურად თავის თავზე იფიქრეს, ვაი თუ ჩვენც იმათი ბედი გვეწვიოსო.

ასეთი შიშის საბუთი კი რიგელებს დიდი აქვთ. ვინ იტყვის, ეს ქალაქი მართლაც მეორე ხარისხოვანი ქალაქი ხომ არ არის, რომ გერმანელებმა ნაკლები ყურადღება მიაქციონ, უეჭველია, აქეთაც გამოსწევენ სანავარდოდ. ნახევარი პოლონეთი განადგურებულია, ეხლა იგინი მიდიან კურლიანდიისკენ. რუსის მხედრობასაც სწამს რიგის მნიშვნელობა და ამიტომ ყოველ ღონესა სძიობს, რომ კურლიანდიისკენ აღარ გაუშვან გერმანელნი.

# ახალი ამბავი

**დაავიწყდათ.** პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ტატიანას კომიტეტის თავმჯდომარეს, სენატორს ნეიდგარტს უთქვამს „რეჩის“ თანამშრომლისთვის: რუსეთში მოწყობილმა ფულის შეგროვებამ ჩვენსა და ქართველებს შორის გაუგებრობა დაჰბადა. ქართველები გამოგვრჩა იმ სიაში, სადაც აღნუსხული იყო რუსეთში მცხოვრები ომისაგან დაზარალებული სხვა და სხვა ერი. ჩვენ არ გვქონდა სურვილი შეურაცხვგეყო ქართველები და მათთვის გვერდი აგვეხვია, კომიტეტი წინანდებურად დაეხმარება დაზარალებულ ქართველებსაო.

✦ **ოფიციალური განმარტება დამშეულთა შესახებ.** „კავკაზში დაბეჭდილიხ ოფიციალური განმარტება დასავლეთ საქართველოს დამშევის შესახებ. ამ წერილიდან სჩანს, რომ ზუგდიდისა და სენაკის მაზრის დამშეულთა სასარგებლოდ საერთო საიმპერიო საკვებ თანხიდან 162,969 მანეთი გადუდვია მთავრობას, ხოლო საკუთარ საკვებ თანხიდან 210,000 მ. კიდევ შუამდგომლობაა აღძრული რომ კიდევ 64,071 მანეთი გადაიდოს სენაკის მაზრის დამშეულთათვის.

ოზურგეთის მაზრისთვის ქუთაისის გუბერნატორს საზოგადო საკვებ თანხიდან გადაუდვინებია 79,206 მ.

✦ **პეტროგრადში** დიდის სამგლოვიარო პროცესით მოხდა დიდი მთავრის დაკრძალვა. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფის ასულნი, დიდი მთავრები, უავგუსტოესი ოჯახი გარდაცვალებულის დიდის მთავრისა, სასახლის მინისტრი, მეფის ამალა, პრინცესები და ფრეილინები, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, სათათბიროს თავმჯდომარე. მუხრან-ბატონის დაკრძალვის შემდეგ 6 ივნისს საღამოს 9 საათზე თბილისიდან პეტროგრადს ჩავიდნენ მათი უმაღლესობა დიდი მთავრის ასული ტატიანა და ძმა მათი დიდი მთავარი იგორი.

✦ **ვაზის წამლობა.** თბილისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტი სთხოვს ყველას, ვინაც მიკოლოგ იაჩევსკის წიგნაკის თანხმად გოგირდისა და კირის სითხით უწამლა ვაზებს, შეატყობინოს კომიტეტს, რა ნაყოფი მოიტანა ამ წამალმა.

✦ **ჯარისკაცნი** თბილისში. უკანასკნელად გაწვეულნი ჯარის კაცნი გუშინ, 8 ივნისს, მატარებლით ყაზანში გაგზავნეს.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ.** ბაქოს ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ბიჩმა 6 ივნისს დეპეშით აცნობა ა. ი. ხატისოვს, რომ ბაქოს ქალაქის საბჭომ, 2 ივნისს დაადგინა, არაფერი დაზოგოს ჩვენი მამაცი ჯარის დასახმარებლად, რათა მტერი ძლეულ იქმნას; ამასთანავე საბჭოს საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფო სათათბირო იქმნას მოწვეული. ეს დადგენილება უნდა ეუწყოს ქალაქთა კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნს ჩელნოკოვს და კავკასიის ქალაქთა ბიუროს თავმჯდომარეს.

✦ **ცეცხლისაგან დამზღვევ** თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრებაზე 7 ივნისს გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ გ. ზ. თამამშევი და ვ. კ. ბარსამოვი, სარევიზიო კომისიის წევრებად ბ-ნნი ტერ-აკოფოვი და ზუბალაშვილი.

✦ **შორაპნის მაზრაში,** როგორც იქიდან მოსულებმა გადმოგვცეს, გამუდმებულ წვიმებს და ნიაღვრებს ერთიან გაუნადგურებია წლის მოსავალი. ნათესები მიწაში ჩამპალა და ვაზების ავადმყოფობა ობი და ნაცარი—მომეტებული სინესტისაგან ერთობ გაძლიერებულა. შაბიამანი და გოგირდი—კი არსად მოიპოვება. თუ ვინმეს აქვს, ფუთი შაბიამანი 5 თუმანი ფასობს.

✦ **მოტანილი საქონელი.** 7 ივნისს თბილისში მოტანილა: ფქვილი 34 ვაგ., ხორბალი 3 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქერი 2 ვაგ., ბზე 2 ვაგ., ხე-ტყე 1 ვაგ., კირი 7 ვაგ., ღვინო 3 ვაგ., ქვა 5 ვაგ.. ხის ნახშირი 1 ვაგ., საწერი ქაღალდი 1 ვაგ., ნავთი 8 ვაგ., ჩაი 163 ფუთი, მაკარონი 208 ფუთი, ბრინჯი 567 ფ., მწვანილი 151 ფუთი, ერბო 683 ფ., კარტოფილი 173 ფუთი, ფხვნილი შაქარი 306 ფუთი.

✦ **საბირჟო საზოგადოების წევრთა კრება.** 7 ივნისს შესდგა კრება ა. ნ. მილოვის თავმჯდომარეობით. კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში. ყოველივე ხარჯის შემდეგ საზოგადოებას გადარჩენია 2.441 მან. 53 კაპ. აგრეთვე დამტკიცებულ იქნა მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გამოიხატება 6.806 მან. 63 კაპ. კრებამ შემდეგ აირჩია კომიტეტის წევრებად ა. ნ. მილოვი, ს. პ. მანუელიანცი და ს. ს. გულბეკიანცი.

✦ **თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.** 6 ივისს მოხდა არჩევნები: **თბილისის მაზრის** მარშლად იქმნა არჩეული თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი (23 თეთრი და 16 შავი), მარშლის თანაშემწედ თავ. ნ. ე. ქობულაშვილი (28 თეორი და 11 შავი), სტიპენდიებისა და დახმარებათა გამანაწილებელ კომისიის წევრად ი. ს. ელიაშვილი; **გორის მაზრისა** მარშლად თავ. რ. ი. ერისთავი (41 თეთრი და სამი შავი) და თავ. ი. დ. ციციშვილი (24 თეთრი და 20 შავი), მარშლის თანაშემწედ თავ. მ. ი. ციციშვილი (32 თეთრი და 13 შავი). დეპუტატებად გ. დ. ჟურული (41 თეთრი და 2 შავი) და ლ. ა. ფურცელაძე (32 თეთრი და 11 შავი). სტიპენდიებისა და დახმარებათა განმანაწილებელ კომისის წევრებად თავ. დ. ა. ფავლენიშვილი (48 თეთრი და 3 შავი) და თავ. ნ. ს. ციციშვილი (36 თეთრი და 6 შავი); **სიღნაღის მაზრისა** მარშლად თავ. მ. არ. ანდრონიკაშვილი (19 თეთრი და 2 შავი) დ თავ. ი. ა. ჯანდიერი (12 თეთრი 9 შ.), მარშლის თანაშემწედ თავ. დ. დ. ანდრონიკაშვილი (20 თ. და 1 შ.) და თავ. ი. ი. ვაჩნაძე (16 თ. და 5 შ.); დეპუტატად თავ. ს. ს. ვაჩნაძე (19 თ. და 2 შ.) და თავ. ა. ლ. ჯორჯაძე (12 თ. და 9 შ.). სტიპენდიისა და დახმარებათა განმანაწილებელ კომისიის წევრებად თავ. ი. რ. მაყაშვილი (20 თეთრი და 1 შავი) და თავ. ნ. ბ. ჩერქეზიშვილი (19 თ. და 2 შ.); **თელავის მაზრისა** მარშლად თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე (19 თ. და შ. სულ არა) და თავ. ს. გ. ჭავჭავაძე (17 თ. დ 2 შ.), მარშლის თანაშემწედ თავ. ი. ი. ჯანდიერი (19 თ. და შავი სულ არა) და თავ. ი. ი. ჯორჯაძე (17 თეთრი და 2 შავი), დეპუტატად თავ. კ. ზ. მაყაშვილი (19 თეთრი და შავი სულ არა) და ზ. ზ. მაჭავარიანი (17 თეთრი და 2 შავი). სტიპენდიებისა და დახმარებათა განმანაწილებელ კომისიის წევრად თავ. მ. დ. ჭავჭავაძე (19 თეთრი და შავი სულ არა) და თავ. ლ. გ. ჯანდიერი (19 თეთრი და შავი სულ არა); **დუშეთის მაზრისა** მარშლად თავ. გ. ა. მუხრან-ბატონი (13 თეთრი და შავი სულ არა) და ლ. გ. წინამძღვარიშვილი (12 თეთრი და 2 შავი). მარშლის თანაშემწედ ვ. ა. ყარანგოზიშვილი (14 თეთრი და 1 შავი) და თავ. ნ. დ. ერისთავი (9 თეთრი და 5 შავი), დეპუტატად გ. ზ. ტერიაშვილი (10 თეთრი და 5 შავი), სტიპენდიებისა და დახმარებათა განმანაწილებელ კომისიის წევრად გ. ა. ყარანგოზიშვილი (14 თეთრი და შავი სულ არა) და თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი (13 თეთრი და 2 შავი); **ბორჩალოს მაზრისა** თავ. მ. ა. სუმბათაშვილი (18 თეთრი და შავი სულ არა), მარშლის თანაშემწედ კ. ი. სვიმონიშვილი (12 თეთრი და 5 შავი), დეპუტატად თავ. ნ. მ. მელიქიშვილი (16 თეთრი და შავი სულ არა), სტიპენდიებისა და დახმარებათა განმანაწილებელ კომისიის წევრად თავ. ნ. მ. მელიქიშვილი (16 ოეთრი და შავი სულ არა) და ი. შ. შანშიევი (13 თეთრი და 4 შავი).

ამასთანავე თავად-აზნაურობამ აირჩია თავისს რწმუნებულად სათავად-აზნაურო ბანკში 105 კაცი.

### შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის მე-13-ე ნომერში თ-დ. მ. ჭავჭავაძის წერილში დაბეჭდილია: „ი. რატიშვილი არავის არ გაუშავებია. მას უცნობმა ამრჩეველმა ერთი კენჭის ნაცვლად საარჩევნო ყუთში ერთი შავი კენჭი ჩაუგდო„. უნდა იყოს: „ათი კენჭი ჩაუგდო“.

### ცოტა რამ ქალთა სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის შესახებ.

ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა გამგე კომიტეტს მეტად სასარგებლო და მოსაწონ საქმის განხორციელება განუზრახავს, სახელდობრ—„გარდაქმნა ეხლანდელ ქალთა სასწავლებლისა სამეურნეო სასწავლებლად“. ჩვენ დიდი მომხრენი ვართ საზოგადოდ პროფესიონალურ და კერძოდ—სამეურნეო-სამრეწველო სკოლების გავრცელებისა ჩვენში, ეს ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგრამ არ შეგვიძლიან ჩვენი განცვიფრება არ გამოვსთქვათ იმის გამო, თუ რატომ განიზრახეს მარტო ქალთა სკოლის ასეთი გარდაქმნა. საზოგადოების ანგარიშში მშვენივრად არის დასაბუთებული ის, დღემდის გაუგებარი, ჭეშმარიტება, რომ დღევანდელი ჩვენი სკოლა სრულიად არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას და სარგებლობის მაგიერ დიდი ზიანი მოაქვს. დღევანდელ სკოლის ნაკლის ასე მკაფიოდ გამორკვევის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ პატივცემული საზოგადოება ყოველ ღონეს იხმარდა ამ სკოლის გარდასაქმნელად. მაგრამ ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებას, როგორც ეტყობა, შეუძლებლად მიაჩნია ვაჟთა გიმნაზიის გარდაქმნა და მხოლოდ ქალთა გიმნაზიის გარდაქმნით კმაყოფილდება? ეს, ცოტა არ იყოს, ულოღიკობაა. ანგარიშის მე 34 გვერდზე საზოგადოება გვეუბნება, რომ „საჭირო დარგად ჩვენი ქვეყნის პირობების მიხედვით, მას მიაჩნია სამეურნეო და სამრეწველო სწავლა, როგორც უფრო გამოსადეგი და ადვილად განსახორციელებელი საქართველოს მიდამოზე“. კეთილი და პატიოსანი. შემდგომ ამისა ჩვენ მოველოდით მართლაც გარკვეულ ტიპის სამეურნეო-სამრეწველო სკოლას. ვნახოთ ეხლა, რა ტიპის სასწავლებელს გვაძლევს ხსენებული საზოგადოება. მას განუზრახავს ასეთი სკოლის შექმნა, რომლის ტიპი „არ არსებობს არც რუსეთში და არც სრულიად ევროპაში“. თურმე სასურველ სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის შესაქმნელად საკმარისი ყოფილა ძველი ტიპის სასწავლებელს კუდი წავჭრათ და ახალ ტიპის სასწავლებელს თავზე მივაკეროთ, ან და ახალის კუდი ძველის თავზე. ის რაც ვერც რუსეთში და ვერც ევროპაში მოუხერხებიათ, ამას ჩვენ სულ ადვილად, რამდენიმე კრების შემდეგ ვახერხებთ. გადავიდეთ ეხლა თვით სასწავლებელზე.

„სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებელი“—დიდებული და ფრიად სასარგებლო საქმეა. პროგრამა? აი პროგრამაც: „საერთო განვითარების საგნები: საღმრთო რჯული, ქართული ენა, რუსული ენა, ანგარიში, ფიზიკა, ბუნების მეტყველება, გეოგრაფია, ფრანგული ენა, ხელსაქმე, ხატვა, გალობა, ვარჯიშობა. სპეციალი საგნები: **ქიმია**, გეოლოგია და მინერალოგია, **ბაღის მეურნეობა**, მეტეოროლოგია, მანქანების სწავლა, ზოოტეხნიკა, მებოსტნეობა, **მებაღეობა**, მევენახეობა, საბეითალო ნაწილი (ნაწილი?), ბუღალტერია და კომერციული არითმეტიკა, პედაგოგიკა, მეოჯახეობა“. არ შეგვიძლია პატივცემულ საზოგადოებას პროგრამის ზოგიერთ დეფექტებზე არ მიუთითოთ: თუ ფიზიკა საერთო განვითარების საგანია, მაშინ ქიმიაც საერთო განვითარების საგანია, მაშასადამე მათი გაყოფა და სხვა სხვა კატეგორიეიზე მოთავსება, ჩვენის აზრით, ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია. შეიძლება პროგრამის შემდგენელთ სამეურნეო ქიმია ჰქონდათ სახეში, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იყო საერთო განვითარების საგნების სიაში საზოგადო ქიმია შეეტანათ.

შემდეგ,—სპეციალ საგნების გაკვეთილების ნუსხაში დასახელებულია „ბაღის მეურნეობა“, როგორც საგანი და „მებაღეობა“: რას ნიშნავს „ბაღის მეურნეობა“ და თუ რამე მნიშვნელობას აძლევენ ამ სიტყვას, მაშინ რას ნიშნავს მებაღეობა?

ბოლოს—სად არის ის საგნები, რომელიც ქალის სოციალურ მდგომარეობას შეესაბამება? მეაბრეშუმეობა, მერძეობა, მეფუტკრეობა; ფრინველის მოვლა-მოშენება და ბევრი სხვა. გარდა ამისა, პროგრამის შემდგენელთ, როგორც ეტყობათ, სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ ისეთი საგნები, როგორიც არის „სამეურნეო ეკონომია, საზოგადო ეკონომია, სამეურნეო კანონმდებლობა, რომელიც, ჩვენის აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველ მეურნესთვის. თუ „მანქანების სწავლა“ ცალკეა გამოყოფილი სამეურნეო მექანიკიდან, მაშინ ჰიდრავლიკაც ცალკე უნდა გამოგვეყო. მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ საზოგადოებას განუზრახავს „შერეულ ტიპის სასწავლებლის შექმნა“, რომლის მსგავსი მართლად „არსად მოიპოვება“ სრულებით გაუგებარია აგრეთვე სასწავლებლის სახელი „სამეურნეო სამრეწველო“. ბოდიშს ვიხდი პროგრამის შემდგენელთა წინაშე, მაგრამ სამრეწველო საგნები ვერ ვიპოვე მათ პროგრამაში.

არ გვესმის, რას ეძახიან პროგრამის შემდგენელნი მრეწველობას და სამრეწველო საგნებს. რაც შეეხება სახელმძღვანელოების შედგენას და ტერმინების დამუშავებას, საზოგადოება ამბობს, რომ „ამ საქმის შესრულებას ანდობს საგანგებო კომისიის მიერ ნაჩვენებ სპეციალისტებს“. არა ბატონებო, აქ საგანგებო „კომისიის ნაჩვენები სპეციალისტები“ ვერას გვიშველის, რადგანაც, საბედნიეროდ, საქართველომ უკვე გაიარა ის ხანა, როდესაც თითზე ჩამოსათვლელი სპეციალისტები ჰყავდა. დღეს ბევრი მოიპოვება ჩვენში მართლაც სერიოზულად მომზადებული სპეციალისტი, რომელთა არსებობა, შეიძლება არც კი იცოდეს „საგანგებო კომისიამ. მოსალოდნელ სახიფათო შედეგის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ საუკეთესო საშვალებად მიგვაჩნია: 1) გადაისინჯოს და შეიცვალოს პროგრამა, რომელსაც უნდა ჩამოეცალოს მრავალი ზედმეტი საგანი და დაერთოს აგრეთვე მრავალი უფრო საჭირო საგანი. და 2) სახელმძღვანელოების და ტერმინების შესამუშაველად კონკურსი დაინიშნოს. დაე ყველამ, ვისაც კი ენერგია და ცოდნა შესწევს, მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში. რასაკვირველია, პატივცემული საზოგადოება აირჩევს საუკეთესოს და მიიღებს სახელმძღვანელოდ.

**ე. ალშიბაია.**

## სიკვდილი

შავს წამოსასხამში გახვეული უშველებელი ვინმე ამოძვრა ჯურღმულიდან.

— ვინ ხარ?—ჰკითხა დედამიწამ.—ძალიან მძიმე ხარ. ჩემი ზედაპირი იზნიქება.

— სიკვდილი!—გაისმა პასუხად ხრინწიანი ბოხი ხმა.

სიკვდილმა წამოსასხამი გადაიხადა და თეთრი ძვლები გამოიჩინა. თვალებში ცეცხლი უკრთოდა. ძვლის ხელი ძვლის მუხლზე დაიკრა კმაყოფილების ნიშნად და ჰაერი ხარბად შეისუნთქა. ახლოს ადამიანი იდგა და სული გასცვივდა. სიკვდილმა გადიხარხარა და დიდმა მთებმა ზანზარი დაიწყეს.

— რათ ამოხვედი შენ სავანიდან?—შეეკითხა დედამიწა.

— ძალიან მომშივდა.—უთხრა სიკვდილმა.

— ვერას გახდები! ცოტა გერგება. ადამიანი ეხლა გაცილებით უფრო ფრთხილია.

— თავსაც არ გავიცხელებ. ხელს თვითონ ადამიანები შემიწყობენ. ჩემს მეგობარს მეფეებს მოვიხმობ და სუფრას იმათ გავაშლევინებ. ჩემი ძმა ომიც მომეშველება. ყასპობას გასწევს. ომს მოარულიც დაეხმარება. ჩემი და შიმშილი სადილს მომიმზადებს.

სთქვა და აასრულა სიკვდილმა. მეგობრებს საარაკო ნადიმი გააჩაღებინა: მეფეებს სუფრა გააშლევინა და მეღვინეებად დააყენა. მეფეთა სარდლებს ხელზე იმსახურებდა. შიმშილი მზარეულობას ეწეოდა. ომი სანოვაგეს მრავლად აწვდიდა.

სიკვდილი თბილი სისხლით წყურვილს იკლავდა და დახოცილთა ცივი გვამებით მუცელს იძღობდა. მხიარულობდა, თავის წყალობას უხვად აბნევდა და შავი მუსიკის გრიალით ყურსა იტკბობდა.

**ინ—ბანი.**

### ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

7 ივნისს კრება გაიხსნა თავ. გ. ა. სუმბათაშვილის თავჯდომარეობით, დილის 12 საათზე. კრება შეუდგა 1914 წლის ანგარიშის განხილვას. როგორც ანგრიშიდანა სჩანს, შემოსავალი ჰქონია საზოგადოებას სულ 162.221 მან. 92 კაპ. ანგარიშის წარმოებას ბევრი ნაკლულევანება აღმოაჩნდა. ნაკლულევანებანი აღნიშნა **კოსტ. მაღალაშვილმა:** 1) შემოსავალში შეტანილია ქ-ნ ს. გურგენიძის მიერ ეკლესიის გასაუმჯობესებლად შეწირული 1,000 მან.; ნამდვილად კი ქ-ნ გურგენიძისაგან მიუღია გიმნაზიის ყოფილ დირექტორს ა. მდივანს 2,000 მანეთი, რომელთაგან 1,000 მანეთი ბ-ნ მდივნის დირექტორად ყოფნის დროს დაუხარჯნიათ აღნიშნულ საგანზე, ხოლო 1914 წლის ენკენისთვეში გამგე კომიტეტის მოლარეს ნაღდად მიუღია 1,000 მან. და 1,000 მანეთის დანახარჯის ბარათები; მხოლოდ ეს ნაღდად მიღებული 1000 მანეთია შეტანილი ანგარიშში. 2) ვენიამინოვის ქუჩის სახლის შემოსავალი ნაჩვენებია 800 მანეთი, მაშინ როდესაც ამ მამულს ბევრად მეტი შემოსავალი აქვს; 3) გასავლის მეცხრამეტე მუხლში ნაჩვენებია 6,828 მან., გამგე კომიტეტის მოსამსახურეთა მიერ გაფლანგული, ნადვილად კი, როგორც ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია, 11,000 მანეთამდე ყოფილა გაფლანგული; 4) რამდენიმე წლის წინად ქ-ნ კ. ტურიაშვილისას შეუწირავს გიმნაზიისათვის სასტიპენდიოდ 2,500 მანეთი; ამ ფულებიდან ანგარიში სჩანს მხოლოდ 503 მან 27 კაპ., დანარჩენი ვინ დახარჯა და რაზედ, არავინ იცის. **სპირ. ბაქრაძემ** განაცხადა, რომ ხსენებული ფულები გიმნაზიის დირექტორმა ა. მდივანმა წამოიღო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებიდან და შემდეგ ან იმასვე უნდა ჰქონოდა, ან გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. პ. ი თუმანოვს, ხოლო ბარათი კი ფულის მიბარებისა კომიტეტის ყოფილ მოლარეს პ. მირიანაშვილს ჰქონდა, რომელსაც ეს ბარათი არავისათვის არ უნდა მიეცა, სანამ მას ფულს არ ჩააბარებდნენ, მაგრამ ხსენებული ბარათი ბ-ნ მირიანაშვილს აღარა აქვსო.

**პ. გვერდწითელმა** აღვიარა, რომ ანგარიშების წარმოება უკანასკნელ დროს რამდენიმედ გაუმჯობესდა, ხოლო წინად ერთობ ცუდს მდგომარეობაში იყოვო; შემოსულ ფულს ვინც მიიღებდა, იგივე ხარჯავდა და ფულის ანგარიში კი დავთრებში არ იწერებოდაო. **დ. დუმბაძემ** განაცხადა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატიური ქურდობა იყო გიმნაზიაში, ასი ათას მანეთამდეა გაფლანგულიო; მიპასუხოს ბ-მა გვერდწითელმა, არსებობს თუ არა 15 წლის დავთრებიო. ორატორმა მოითხოვა,—მისი სიტყვები ოქმში შეეტანათ. **პ. გვერდწითელმა** განაცხადა, რომ მხოლოდ მოსწავლეებისაგან სწავლის ფულის მიღების ბარათები დაიკარგაო. **კ. ჯაფარიძემ** წინადადება მისცა კრებას განსაკუთრებული კომისია იქმნას არჩეული, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ყოველივე ბოროტმოქმედებაო.

კამათის შემდეგ აირჩიეს კომისია, რომელმაც თავისი მოხსენება ერთი წლის შემდეგ უნდა წარმოუდგინოს საზოგადო კრებას. კომისიის წევრებად ამოირჩიეს თავ. მ. ჭავჭავაძე, გენ. ა. კობიაშვილი, დ. დუმბაძე, კოსტ. მაღალაშვილი, ლ. ფურცელაძე, ი მაჭავარიანი და ნ. არჯევანიძე.

ანგარიშის განხილვას შემდეგ, კრებამ იგი დაამტკიცა. კრების გაგრძელება დაინიშნა 8 ივნისის საღამოს 8 სათისათვის.

(შემდეგი იქნება)

## ჩვენი ცხოვრება

**ს. ივანდიდი** (ქუთ. მაზრა).

კარგა ხანია შიმშილობა ამ სოფელსაც ესტუმრა. ხალხი თხოულობს მთავრობისგან სიმინდის შესაძენად თანხის გადადებას, მაგრამ ჯერ არაფერი მოსჩანს. სიმინდი კი დღითი დღე ძვირდება, მაგალითად, უკანასკნელ დროს ფუთი ღირდა 1 მან. 70 კაპ., ფქვილი—2 მ. 20 კ. ამბობენ, ცოტა ხნის შემდეგ ფქვილიც და სიმინდიც სულ გამოილევაო. სოფელში ხშირდება წვრიმალნი ქურდ-ბაცაცობა და ცარცვა-გლეჯა, რაც ბუნებრივი შედეგია შიმშილისა.

უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო. ამინდებიც გაფუჭდა და წრევანდელი მოსავალიც გოხრდა. ამოსული სიმინდი ეხლავე ჩაყვითლებულია და ძალიან საეჭვოა გამოკეთდეს.

ვაზის წამლობა ივანდიდში დიდი ხანია შემოიღეს, მაგრამ წელს შაბიამანის უქონლობის გამო უმეტესი ნაწილი ვენახებისა უწამლოდ დარჩა და უეჭველად გაფუჭდება.

რა მოელის ჩვენს სოფელს, დაე მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს.

**ი. იმერელი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### მაზანდა თბილისის ბაზარზედ

6 თიბათვეს

| | | |
|---|---|---|
| ალუბალი | . . . | 3 მ. |
| ატამი | . . . | 4 მ. |
| ტყემალი | . . . | 2 მ. |
| კარტოფილი | . . . | 1 6მ. 0 კ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში, . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—13

# საკომისიო კანტორა

## ი. ტ. გვათუასი

თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05

**რეგისტრაცია** თავისუფალ ბინისა; **გადაწერა და სწავლა** საწერ მაშინაზე. **მიცემა ცნობისა** ყოველგვარ დაწესებულებიდან; **შუამავლობა** უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და იჯარით გასაცემად; ვკისრულობთ ყოველგვარ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან.

**მონდობილებას** სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8—6—6)

**წიგნის მაღაზია**

# „ახალი სიტყვა“

(„НОВАЯ РѢЧЬ“.)

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—11)

მეხილეთა ამხანაგობა

# „ქართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

# განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე ნაირნაირი ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**მიიღება ხელის მოწერა**

1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო თვიური ჟურნალი

# „ახალი მოამბე“

**ფასი:** წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან.

**მისამართი:** Тифлисъ, ред. груз. журн. „Ахали Моамбэ“ Ив. Сп. Эліашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ნინო ბეჟ. ყიფიანისა**


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგა

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.